დანართი 1

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2024 წლის №180/1 „
29.08 ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აცხადებს ,,ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემის მიზნით ელექტრონულ აუქციონს, ვებ-გვერდის (www.eauction.ge) მეშვეობით. გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150; ტელ. 032 2 43 95 10 /032 2 439526
ელ–ფოსტა	info@nea.gov.ge
სარგებლობის ლიცენზიის სახე	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელმა სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-14 კვარტლის N 1; 2; 4; 6; 8 ლიტერებში. ბ)მოსაპოვებელი რესურსის ოდენობად განისაზღვროს წლიურად 5 ტონა. გ) დაიცვას სოჭის გირჩის მოპოვების დასაშვები მოცულობა (კვოტა), რომელიც ყოველწლიურად დგინდება ლიცენზიის გამცემის მიერ; დ) სალიცენზიო ფართობზე სოჭის გირჩის დამზადება აწარმოოს სექტემბერ-ოქტომბერში; ე) კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში დაიცვას სალიცენზიო ფართობი უკანონო ტყით სარგებლობისაგან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ; შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, 1 სექტემბრამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მიმართოს ტყის მართვის ორგანოს სალიცენზიო ფართობის გადმობარების, ხოლო 1 ნოემბრამდე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა - გადაბარებისათვის; ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ასევე უზრუნველყოს გადაცემული ფართობის მიღება-ჩაბარების აქტით დაბრუნება ლიცენზიის ვადის ამოწურვის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში; ვ) უზრუნველყოს გირჩის კრეფის დროს ხეების დაზიანებისგან დაცვა; ზ)ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს განახორციელოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები (გარდა სამეურნეო ჭრებისა); სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები ტარდება ლიცენზიის მფლობელის შეტყობინების შემდეგ; თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, გადაიხადოს სოჭის

	გირჩით სარგებლობის რეგულირების საფასური; ი) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში. კ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში, მოპოვებული სოჭის გირჩიდან მიღებული არაუმეტეს 10 000 სოჭის ნერგის გაშენებისათვის საჭირო სოჭის თესლი უსასყიდლოდ გადასცეს შესაბამისი პროექტის/სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ პირს.
სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სოჭის გირჩის მოპოვება რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-14 კვარტლის N 1; 2; 4; 6; 8 ლიტერებში, წლიურად 5 ტონა
სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-14 კვარტლის N 1; 2; 4; 6; 8 ლიტერები
აუქციონის საწყისი ფასი	30 169.4 ლარი
ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 016.94 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 116.94 ლარი
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	29/08/2024-26/09/2024
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	27/09/2024 12:00 – 27/09/2024 18:00
სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
სხვა სააუქციონო პირობები	1. აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15

	კალენდარული დღის ვადაში. თუ აუქციონში გამარჯვებული დაარღვევს თანხის გადახდის წესს, იგი ვალდებულია დარღვევის დღიდან ყოველ გადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო იმ პერიოდისათვის გადასახდელი (ვადაგადაცილებული) თანხის 1%-ის ოდენობით, ძირითადი თანხის გადახდის გადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს, ამავე ვადაში დაფარული უნდა იქნეს პირგასამტეხლოც, რომელთა გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვეულის გამოვლენის შედეგების/ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. 2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 21 ივნისის №2-440 ბრძანების თანახმად, სოჭის გირჩიდან სოჭის თესლის გამოსავლიანობა განისაზღვრება არაუმეტეს 12%-ისა.